Regional Co-operation for Cultural Heritage Development

EUROEAST CULTURE
Eastern Partnership Culture Programme

REGIONAL CO-OPERATION RCCHD FOR CULTURAL HERITAGE DEVELOPMENT

პრესკონფერენცია: მცხეთის საფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები

პრაიმტაიმის პრესკლუბი, 11 აპრილი, 11.00 სთ, 2013

მის: კოსტავას ქ. 68, მეორე კორპუსი, III სართული

ICOMOS საქართველო ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის ეგიდით მიმდინარე პროექტის - **„რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისთვის“-** ფარგლებში აწყობს პრესკონფერენციას მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ძეგლების მდგომარეობის საკითხებზე.

როგორც ცნობილია, 2009 წელს UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 33-ე სესიის გადაწყვეტილებით, მცხეთის ისტორიული ძეგლები - სვეტიცხოვლის კათედრალი, სამთავროს მონასტერი და ჯვრის მონასტერი - ძირითადი ნუსხიდან გადატანილ იქნა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხაში.

2013 წლის 16-27 ივნისს კამბოჯაში გაიმართება UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 37-ე სესია, სადაც მოხდება მცხეთის ისტორიული ძეგლების მიმდინარე მდგომარეობის შეფასება და განიხილება მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 36-ე სესიაზე დამტკიცებული რეკომენდაციების შესრულების საკითხი.

პრესკონფერენციის მონაწილეები საზოგადოებას მიაწვდიან ინფორმაციას მცხეთის ისტორიული ძეგლების არსებული მდგომარეობის, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 36 სესიაზე მიღებული რეკომენდაციების და იმ შეუქცევადი პროცესების შესახებ, რაც მოჰყვება აღნიშნული რეკომენდაციების შეუსრულებლობას საქართველოს, როგორც წევრი სახელმწიფოს მხრიდან.

პრეს კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ:

კონსტანტინე ამირეჯიბი, არქიტექტორი
გოდერძი ნარიმანიშვილი, არქეოლოგი
მანანა სურამელაშვილი, ხელოვნების ისტორიკოსი
ციცინო ჩაჩხუნაშვილი, ხელოვნების ისტორიკოსი
ნატო ცინცაბაძე, არქიტექტორ-რესტავრატორი

<u>**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:**</u>

ნატო ცინცაბაძე - ICOMOS საქართველო
ტელ.: 2984527,
ციცინო ჩაცხუნაშვილი - ICOMOS საქართველო
ტელ.: 599625704
ბეთლემის აღმართი 16ბ, 0105, თბილისი
www.icomos.org.ge , rcchd@icomos.org.ge

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. იგი ხორციელდება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის ფარგლებში. ევროკავშირი ვერ აგებს პასუხს პრეს კონფერენციაზე გაშუქებულ ინფორმაციაზე.

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
ნინო ჩხეიძის ქ. 38
0102 თბილისი, საქართველო
ტელ: 294 3763